ჭეშმარიტად, მე უარს ვამბობ ალლაჰის წინაშე, რომ ავიყვანო რომელიმე თქვენგან ხალილად (სულიერი მეგობარი, დაახლოებული, საყვარელი მეგობარი). უზენაესმა ალლაჰმა ამირჩია მის ხალილად (მეგობრად) ისევე, როგორც იბრაჰიმი აირჩია ხალილად (მეგობრად)

გადმოცემულია ჯუნდუბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «მე გავიგონე, რომ მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიკვდილამდე ხუთი დღით ადრე ამბობდა: «ჭეშმარიტად, მე უარს ვამბობ ალლაჰის წინაშე, რომ ავიყვანო რომელიმე თქვენგან ხალილად (სულიერი მეგობარი, დაახლოებული, საყვარელი მეგობარი). უზენაესმა ალლაჰმა ამირჩია მის ხალილად (მეგობრად) ისევე, როგორც იბრაჰიმი აირჩია ხალილად (მეგობრად). და რომ შემეძლოს ჩემი უმმათიდან ხალილის არჩევა, ავირჩევდი აბუ ბაქრს. იცოდეთ, რომ თქვენამდე მყოფი ხალხი თავიანთი წინასწარმეტყველებისა და წმინდა ადამიანების საფლავებს მეჩეთებად აქცევდნენ. ამიტომ არ გადააქციოთ საფლავები მეჩეთებად, მე გიკრძალავთ ამას».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს ალლაჰთან მისი განსაკუთრებული ადგილის შესახებ, რომ მან მიაღწია ალლაჰის სიყვარულის უმაღლეს საფეხურს ისევე, როგორც იბრაჰიმმა (მშვიდობა მას) მიაღწია მას. ამიტომ მან უარყო, რომ მას შეეძლო ალლაჰის გარდა ვინმე ხალილად (სულიერ მეგობრად) აერჩია, რადგან მისი გული ალლაჰის სიყვარულით, სიდიადითა და შეცნობით იყო სავსე და არ რჩებოდა ადგილი სხვებისთვის. და რომ ჰყოლოდა შუამავალს ხალილი ადამიანთაგან, ის აუცილებლად აბუ ბაქრი იქნებოდა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი). შემდეგ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა მორწმუნეები, რომ არ გადაეჭარბებინათ სიყვარულის დასაშვებ ზღვარს, როგორც ეს იუდეველებმა და ქრისტიანებმა გააკეთეს თავიანთი წინასწარმეტყველებისა და მართალ ადამიანთა საფლავებთან ისე, რომ აქციეს ისინი ღვთაებებად და თანამოზიარედ თაყვანისცემაში მაგიერ ალლაჰისა. მათ ააშენეს მეჩეთები და ტაძრები იმ საფლავებზე. მოციქულმა მკაცრად აუკრძალა თავის უმმათს (საზოგადოებას), რომ მათ მსგავსად მოქცეულიყვნენ.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3347